მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ თბილისი 0183 საქართველო
საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.003

(კორექტირება)

დამპროექტებელი
გ. დათუაიშვილი
datukii@yahoo.com
(995 598) 188889
შპს გეობულინვესტი
ნუცუბიძის I მ-რ, I ჯ., 7/3
თბილისი
საქართველო

დამკვეთი: შპს გეობულინვესტი
მისამართი: ნუცუბიძის I მ-რ, I ჯ., 7/3
თბილისი, 0183 საქართველო
ტელ: +(995 599) 019114

07.08.2018

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ თბილისი 0183 საქართველო
საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.003

დამკვეთი: (მალხაზ დათუკიშვილი)

დამპროექტებელი: (გ. დათუკიშვილი)

შეამოწმა: (ვ. ჯოხაძე)

კორექტირება

07.08.2018

სარჩევი

ფურცელი	სახელი	მასშტაბი
ა.01.3	სარჩევი	
	სარჩევი	
ა.01.4	განმარტებითი ბარათი	
ა.01.5	ტექნიკური მაჩვენებლები	
ა.02.1	ტოპოგეგმა	1:500
	ზონებს შორის საზღვარი	1:300
ა.02.2	გენგეგმა	1:200
	გენგეგმა	1:500
ა.02.3	ფოტოსურათი	
ა.02.4	ფოტოსურათი	
ა.02.5	ფოტოსურათი	
ა.03.1	-1 სართულის გეგმა	1:200
	-2 სართულის გეგმა	1:200
	კროკი	1:500
	კროკი	1:500
ა.03.2	-1 სართულის განშლა	1:200
	-1 სართულის პერიმეტრის კ...	1:200
ა.03.3	0 სართულის გეგმა	1:200
	1 სართულის გეგმა	1:200
	კროკი	1:500
	კროკი	1:500
ა.03.4	2 სართულის გეგმა	1:200
	3 სართულის გეგმა	1:200
	კროკი	1:500
	კროკი	1:500
ა.03.5	4 სართულის გეგმა	1:200
	5 სართულის გეგმა	1:200
	კროკი	1:500
	კროკი	1:500
ა.03.6	6 სართულის გეგმა	1:200
	7 სართულის გეგმა	1:200
	კროკი	1:500
	კროკი	1:500
ა.03.7	8 სართულის გეგმა	1:200
	9 სართულის გეგმა	1:200
	კროკი	1:500
	კროკი	1:500
ა.03.8	8 სართულის გეგმა	1:200
	9 სართულის გეგმა	1:200
	სახურავის გეგმა	1:200
	სახურავის გეგმა	1:200
	სახურავის გეგმა	1:200
ა.04.1	ჭრილი 1-1	1:200
	ჭრილი 3-3	1:200
ა.04.2	ჭრილი ა-დ ღერძებში	1:100
	ჭრილი ა-დ ღერძებში	1:100
ა.04.3	ჭრილი დ-ა ღერძებში	1:100
	ჭრილი დ-ა ღერძებში	1:100
ა.04.4	ჭრილი 2-2 (ფრაგმენტი)	1:100
ა.04.5	ჭრილი 4-4 (ფრაგმენტი)	1:100
ა.05.1	დეტალი	1:25
	დეტალი	1:25
	ფასადი 5-1	1:200
	ფასადი ა-ე	1:200
ა.05.2	დეტალი	1:25
	დეტალი	1:25
	ფასადი 1-5	1:200
	ფასადი ე-ა	1:200
	ფრაგმენტი	
	კონდიციონერის ყუთი	
ა.06.1	ვიზუალიზაცია	
ა.06.2	ვიზუალიზაცია	
ა.06.3	დეტალი	1:25
	დეტალი	1:25
	ვიზუალიზაცია	
ა.06.4	ვიზუალიზაცია	
ა.06.5	ვიზუალიზაცია	
ა.06.6	ფოტომონტაჟი	
ა.06.7	ფოტომონტაჟი	
ა.07.1	მაქსიმალური სიმაღლის სქე...	1:500
ა.07.2	მაქსიმალური სიმაღლის სქე...	1:200
ა.07.3	მაქსიმალური სიმაღლის სქე...	1:200
ა.07.4	მაქსიმალური სიმაღლის სქე...	1:300
ა.07.5	მაქსიმალური სიმაღლის სქე...	1:300
ა.07.6.2	კალენდარული გრაფიკი	

ფორმატი A3
თარიღი: 16.04.2018

ფურცელი ა.01.3 | სულ 39 ფ.
დასახელება: სარჩევი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

არქიტექტურა ნაწილი
პროექტი სტადია

დ. დათუაშვილი
(995 598) 188889
datukii@yahoo.com

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

განმარტება

საპროექტო ტერიტორია: საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ნუცუბიძის I მ/რ თბილისი 0183 საქართველო. საპროექტო ტერიტორია ჩამოყალიბებულ განაშენიანებაშია და მოიცავს მიწის ნაკვეთს (№01.14.01.007.003), რომლის საკადასტრო საზღვრები არაერთგვაროვანია (იხ. საკადასტრო გეგმა) და აქვს, როგორც სამეზობლო, ისე საზოგადოებრივი მიკუნები. მიწის ნაკვეთს ერთი მხრიდან საზღვრავს ჯერჯო საკუთრებაში არსებული ნაკვეთი.

ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ №466727 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (№01.14.01.007.003) მოქმედებს ფუნქციური ზონა სზ-ბ, რომლისთვისაც ქალაქმშენებლობითი პარამეტრების დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლებია: კ-1=0.5; კ-2=2.5; კ-3= 0.1, თუმცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით (17.09.2014 წ ბრძანება №737) მინიჭებული კოეფიციენტები არის: კ-1=0.6; კ-2=4.6.

საპროექტო შენობა: არის 12-სართულიანი, აქედან ორი მიწისქვეშა (ავტოსადგომი, კომერციული ნაწილი), ერთი მიწისპირა (ავტოსადგომი, ვესტიბიული) და ცხრა მიწისზედა (საცხოვრებელი). შენობის ±0.00 გასწორებულია ზ.დ. 574,00 ნიშნულზე, რაც ქუჩიდან დაახლოებით 2-3 საფეხურით ამაღლებს შენობას. მიწისზედა სართულები ერთმანეთს ვერტიკალურად აცილებულია 1,65 მეტრით. შენობის ძირითად ვერტიკალურ კომუნიკაციად გათვალისწინებულია კიბე და ლიფტი. შენობას გააჩნია როგორც სამანქანო შესასვლელი ავტოსადგომზე, ისე ქვეითთათვის.

პროექტის მიხედვით შენობა კონსტრუქციულად კარკასულია, სამშენებლო მასალად გათვალისწინებულია რკინა-ბეტონი. შემომსაზღვრელი კედლების მოწყობა გათვალისწინებულია სამშენებლო ბლოკისგან, რომლებიც გარედან ბათქაშით (ფაქტურიანი ლესვა) იფარება. სართულშუა გადახურვები ასევე რკინა-ბეტონისგან ჩამოისხმება. სახურავი - ბრტყელი (≈ 2% ქანობით) რუბეროიდის ბურულით და ჩრდილოეთით სენდვიჩ-პანელით.

ვენტილაციის და სხვა საინჟინრო ქსელების მოწყობა გათვალისწინებულია შენობის შიგნით, ხოლო გათბობის დანადგარები განთავსდება შენობის ექსტერიერზე, სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შესაბამისი საინჟინრო ნაწილის მიხედვით. რაც შეეხება კონდიციონერებს - მათთვის გათვალისწინებულია სპეციალური გადასატანი კონსტრუქცია ყუთი - საყვავილე, რომელიც ბინის მესაკუთრის სურვილის შემთხვევაში დამაგრდება მოაჯირზე (იხ. შესაბამისი ნახაზი).

კორექტირება: სამშენებლო სპეციფიკის, დამკვეთის სურვილის და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროექტში ხდება ცვლილებების შეტანა, კერძოდ:

1. ±0.00 ნიშნულზე სამანქანე პარკინგზე დაუბრკოლებელი მისადგომობის უზრუნველსაყოფად 2-1 და 4-3 ღერძებში გათვალისწინებულია სამანქანე პანდუსები.
2. სადარბაზოსთან საქვეითო მისასვლელს 3-2 ღერძებში გაუკეთდა კიბე. ასევე გაიზარდა სადარბაზოს შესასვლელი კარების გაბარიტები.
3. აღმოსავლეთით, ეზოს მხარეს არსებულ ბეტონის კედლებზე უსაფრთხოების მიზნით გათვალისწინებულ იქნა მოაჯირები.
4. -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე ფასადების (ა-დ და 1-4 ღერძებში) ნაწილის ამოშენება და ღიობების ალუმინის ვიტრაჟებით შევსებაა გათვალისწინებული.
5. დაზუსტდა საცხოვრებელი ბინების და პარკირების ადგილების რაოდენობა (28 ბინა და 28 ავტოსადგომი).
6. საცხოვრებელ ბინებში მეტი განათების მისაღებად პროექტით გათვალისწინებული (1-4; ა-დ; 4-1 ფასადებზე) ღიობების რაოდენობა და ადგილმდებარეობა შეიცვალა.
7. მონიჭებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გათვალისწინებით პროექტს გააჩნია კ-2 რესურსი ≈ 76 კვ.მ, რის გამოც შენობის ჩრდილოეთ ნაწილში +29.70 ნიშნულზე დამატებით გათვალისწინებულ იქნა ბინა № 28-ის სახელოსნო (იხ. საპროექტო დოკუმენტაცია). აღნიშნული სახელოსნოს ნაწილის სიმაღლე სრულია ხოლო ნაწილი არ აღემატება 2.4 მ-ს. ფასადი სამი მხრიდან გახსნილია რათა მოხდეს დღის განათების მაქსიმალურად მიღება. დონეებზე გადაადგილება ხდება შიდა კიბით.

შენიშვნა: არქიტექტურის სამსახურში წინასწარ გავლილი კონსულტაციის საფუძველზე, ბინა-სახელოსნოს პროექტის სტრუქტურა დუპლექსურია, რაც სრულად ითვალისწინებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

შენიშვნა:

1. ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ №1688027 გადაწყვეტილებით შეთანხმებულია ობიექტის ესკიზური პროექტი. წინამდებარე პროექტში დაზუსტებულია მხოლოდ ფენესტრაცია.
2. მშენებარე შენობის ფასადებზე დროებით განთავსებულია კონდენციონერის ყუთები რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებამდე განთავსდება პროექტით გათვალისწინებულ ადგილას.

ნორმატიული ბაზა:

1. საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";
2. *„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები", დამტკიცებული ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09 წ №4-13 გადაწყვეტილებით;*
3. *Ernst and Peter Neufert*. **Architect's Data** (Third edition). Blackwell Science 2000. ISBN 0-632-05771-8

გ. დათუკიშვილი
(995 598) 188889
datukii@yahoo.com

შპს გეობულინვესტი
ნუცუბიძის I მ-რ, I კვ., 7/3
თბილისი 0183
საქართველო

დაკვეთა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

დამკვეთი:
მალხაზ დათუკიშვილი

ნუცუბიძის I მ/რ თბილისი
0183 საქართველო

პროექტი | არქიტექტურა | სტადია | ნაწილი

მონაწილე ძირითადი სპეციალისტები

არქიტექტორი
გ. დათუკიშვილი
კად-ტექნიკოსი
გ. დათუკიშვილი

შეამოწმა
ვ. ჯოხაძე

ხელმოწერა

ფურცელი **ა.01.4** | სულ **39** ფ.

დასახელება: **განმარტებითი ბარათი**

მასშტაბი

შენიშვნა:
1.წინამდებარე პროექტი წარმოადგენს საავტორო უფლებით დაცულ ნამუშევარს.
2. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში.

თარიღი: **16.04.2018**

ფორმატი **A3**

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ტექნიკური მაჩვენებლები

მიწის ნაკვეთი:

ფართობი: 587 მ^2
სზ-6= 536,4 მ^2
ტზ-1= 50.6 მ^2

განაშენიანების ძირითადი პარამეტრები:

განაშენიანების ფართობი: 455.4 მ^2

Sკ-1=347.7 მ^2, კ-1=0.64≈0.6
Sკ-2=2488.9 მ^2, კ-2=4.64≈4.6
Sკ-3=66.4 მ^2, კ-3=0.12≈0.1

სასარგებლო ფართობი:

საერთო ფართობი:	3551.3 მ^2
საცხოვრებელი ფართობი:	2010.7 მ^2
საზაფხულო ფართობი:	269.6 მ^2
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი:	272.9 მ^2
დამხმარე (ლიფტი) ფართობი:	6.00 მ^2
ავტოსადგომის ფართობი:	836.6 მ^2
კომერციული სივრცის ფართობი:	63.7 მ^2
სახელოსნოს ფართობი:	141.3 მ^2

ნორმატიული ბაზა:

1. საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";
2. „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები", *დამტკიცებული ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09 წ №4-13 გადაწყვეტილებით;*
3. *Ernst and Peter Neufert*. **Architect's Data** (Third edition). Blackwell Science 2000. ISBN 0-632-05771-8

ფორმატი A3
თარიღი: 16.04.2018
შენიშვნა:
1.წინამდებარე პროექტი წარმოადგენს საავტორო უფლებით დაცულ ნამუშევარს.
2. ზომები მოცემულია სმ-ში, ხოლო ნიშნულები მ-ში.
ფურცელი ა.01.5 | სულ 39 ფ.
დასახელება: ტექნიკური მაჩვენებლები
მასშტაბი
ხელმოწერა
მონაწილე ძირითადი სპეციალისტები
არქიტექტორი
გ. დათუაშვილი
კად-ტექნიკოსი
გ. დათუაშვილი
შეამოწმა
ვ. ჯოხაძე
არქიტექტურა | ნაწილი
პროექტი | სტადია
დაკვეთა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
დამკვეთი: მალხაზ დათუაშვილი
ნუცუბიძის I მ/რ თბილისი 0183 საქართველო
გ. დათუაშვილი
(995 598) 188889
datukii@yahoo.com
შპს გეობულინვესტი
ნუცუბიძის I მ-რ, I კვ.,
7/3 თბილისი 0183
საქართველო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ___ -18

"02" 03 2018 წ.

დადგენილება №001285
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

02.03.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 27 თებერვლის №001285 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "გეობულინვესტი"-ს (საინდეტიფიკაციო კოდი №206164960, დირ. მალხაზი დათუკიშვილი, პირადი №01006002250, მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის I მ/რ, I კვარტ. კორპ. №7/3) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ნუცუბიძის I მ/რ, საკ. კოდი №01.14.01.007.003-ში შედგენილი შ.პ.ს. "გეობულინვესტი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1932364 AR1301973 04.06.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „5-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, „3-2" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ვიზუალი, ხოლო ვიტრაჟის თავზე დამატებულია საჩრდილობელი. +29.70 ნიშნულზე „2-1" მონაკვეთში არ არის მოწყობილია კიბე, ხოლო „3-2" მონაკვეთში დამატებულია სადარბაზოს განათების ღიობი. „5-4" მონაკვეთში კედელზე დამატებულია მოაჯირი. „ე-ა" ფასადი: ფასადზე დამატებულია წყალშემკრები მილები. ' „ა-ა" ღერძის მიმდებარედ დასარულებელია ფასადის მოპირკეთება. „დ-დ" ღერძის მიმდებარედ დამატებულია კონდიციონერი. „გ-ა" მონაკვეთში ფასადზე დამატებით მოწყობილია ელ-სადენი. „ა-ე" ფასადი: შეცვლილია საყრდენი კედლის ფორმა, გაბარიტები და დამატებულია ლითონის მოაჯირი. -3.30 ნიშნულზე ვიტრაჟის ღიობი შეუვსებელია. „4-4" ღერძზე, „დ-ე" მონაკვეთში შემცირებულია კედლის სიმაღლე 0.2 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე, „ბ-გ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ვიზუალი. „ბ-გ" მონაკვეთში კიბის უჯრედის თავზე პარაპეტში დამატებულია ღიობი. „1-5" ფასადი: „2-4" მონაკვეთში -3.30 ნიშნულზე ღიობები შეუვსებელია. შენობის ფასადებზე შეცვლილია კარ-ფანჯრის და ვიტრაჟის რაოდენობა, გაბარიტები, მონაცვლებულია და შეცვლილია მათი ვიზუალი, ასევე დამატებულია გამათბობლები, კარადები, გამწოვი მილები და კონდიციონერები.

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ფასადებზე კონდიციონერები არ არის შეფუთული და შეცვლილია მათი განთავსების ადგილი. ფასადებზე შეცვლილია აივნის მოაჯირების ვიზუალი. +26.40 და +28.05 ნიშნულებზე აივნების თავზე დასასრულებელია საჩრდილობლების მოწყობა და შეცვლილია მათი მდებარეობა და კონსტრუქციული ელემენტები. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. ფასადები ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია და შეცვლილია ღებვის ფერი. -6.10 ნიშნული: „5-5“ ღერძის მიმდებარედ „ა-გ“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა და გაბარიტები. ავტოსადგომზე და პანდუსზე დამატებულია წყალშემკრები არხები. „4-5“ მონაკვეთში პანდუსი მოწყობილია არაერთგვაროვანი დახრის. -3.30 ნიშნული: „1-2“ მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე და გაზრდილია მისი დახრის პროცენტულობა. „3-4“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი კიბე და ბაქანი, ასევე ლიფტი შ.შ.მ. პირებისთვის. „5-5“ ღერძის მიმდებარედ „დ-ე“ მონაკვეთში გაუქმებულია ლითონის სვეტი, კიბე და ბაქანი. ±0.00 ნიშნული: „3-2“ მონაკვეთში „დ-დ“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კიბე და ბაქანი. „4-3“ და „2-1“ მონაკვეთებში დამატებულია ბაქნები და პანდუსები. „2-2“ ღერძზე, „გ-ბ“ მონაკვეთში კედელში დამატებულია კარი. „ე-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის ფილის ფორმა. +29.70 ნიშნულზე „ბ-გ“ ღერძზე „3-2“ მონაკვეთში გაუქმებულია სახურავზე გასასვლელი კარი. „3-3“ ღერძის მიმდებარედ დამატებულია კიბის მარში. „ბ-გ“ მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის გაჩერება. +31.35 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძზე დამატებულია კარი. „ბ“ და „გ-გ“ ღერძებზე გაუქმებულია მოაჯირები. „ბ-გ“ მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის გადახურვის სიმაღლე 0.5 მ-ით, კიბის უჯრედში მოწყობილია გადახურვის ფილა და ლიფტის სამანქანო. სამანქანოში დამატებულია ლიფტის შახტის გადახურვის ფილა, რომელიც +31.35 ნიშნულთან მიმართებით დაწეულია დაბლა 0.7მ-ით. „2-2“ ღერძზე „გ-ბ“ მონაკვეთში დამატებულია ერთი საჰაერო ღიობი დაფარული ცხაურით, და კიბის უჯრედის განათებისთვის განკუთვნილი ღიობი. +29.70 და +31.35 ნიშნულებზე კიბის უჯრედის კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია კოლონების გარე პირზე, რითაც გაზრდილია კიბის უჯრედის გაბარიტები. აღნიშნულ ნიშნულებზე შეცვლილია სახურავის ქანობები. გადახურვებზე სავენტილაციო შახტები შესაღებია და დამატებულია თუნუქის ქუდები. -6.10, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე, კიბის უჯრედში ლიფტთან გაუქმებულია კედლები და კარი. „2-3“ მონაკვეთში „გ-ბ“ ღერძებს შორის სართულებზე ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების და რიგელების რაოდენობა და გაბარიტები, ასევე შეცვლილია გარე შემომზღუდავი კედლების სისქე. შენობაში დამატებულია მონოლითური კედლები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი.

2018 წლის 27 თებერვალს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001285 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №19/011722732-17 15.08.2017წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. “გეობულინვესტი”-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნუცუბიძის I მ/რ, საკ. კოდი №01.14.01.007.003-ში შედგენილი შ.პ.ს.

"გეობულინვესტი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1932364 AR1301973 04.06.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით.

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "გეობულინვესტი" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "გეობულინვესტი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "გეობულინვესტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე მ. ჯაყელი

საგადახდო დავალება
Payment Order

1522933656 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 05/04/2018

გადამხდელი / Sender

შპს გეობულინვესტი, 206164960

რეფერენსი / Ref. Num.

1990763829

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE86TB7089936050100002

თანხა / Amount

4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს გეობულინვესტი, 206164960*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 206164960

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

05/04/2018

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილებაN001285 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა
Signature

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 646495
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13078708
ამონაწერის მომზადების თარიღი: 08/08/2013 09:57:42

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს გეობულინვესტი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის 1 მ/რ, I კვ., №7/3
საიდენტიფიკაციო კოდი:	206164960
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	07/12/2004
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	7/4-2847
მარეგისტრირებელი ორგანო:	ისან-სამგორის რაიონული სასამარ
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01006002250, მალხაზი დათუკიშვილი,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
01006002250, მალხაზი დათუკიშვილი,	100.00000000%	

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ბაზისბანკი
ჰუალინგ ჯგუფის წევრი

BASISBANK
Hualing Group Member

N 30.04/031-15

30 აპრილი 2015წელი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკსა" და მესაკუთრეს, **შპს "გეობულინვესტ"-ს (ს/კ N 206164960)** შორის დადებულია შემდეგი ხელშეკრულება:

იპოთეკის ხელშეკრულება N08.08/024-13, დამოწმების თარიღი 08/08/2013, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (განცხადების რეგისტრაციის N 882013379364);

ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე სს "ბაზისბანკის" სასარგებლოდ იპოთეკის უფლებით დაიტვირთა **შპს "გეობულინვესტი"-ს** საკუთრებაში არსებული უძრავ ქონება, შემდეგი მახასიათებლებით:

მისამართი: ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ნუცუბიძე , I მ/რ; საკადასტრო კოდი N01.14.01.007.003;

თქვენი N1855746 გადაწყვეტილების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ სს "ბაზისბანკი" აცხადებს თანხმობას, მესაკუთრემ განახორციელოს ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შენობა-ნაგებობის მშენებლობა, იმ პირობით, რომ ცვლილების შედეგად რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე, სს "ბაზისბანკის" იპოთეკის უფლება დარჩება უცვლელი.

პატივისცემით,

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

1, Ketevan Tsamebuli Ave., 0103 Tbilisi, Georgia; Tel.: (995 32) 2 922 922, Fax: (995 32) 2 986 548
საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 1; ტელ.: (995 32) 2 922 922, ფაქსი: (995 32) 2 986 548

www.basisbank.ge E-mail: info@basisbank.ge